სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

მაკა სიდამონიძე

დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა წერითი უნარების განვითარების კვლევა ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის მე-5 - მე-6 კლასებში (თელავის მუნიციპალიტეტის სკოლების მაგალითზე)

პროგრამა: განათლებისმეცნიერებები

განათლების მეცნიერებების დოქტორისა კადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის

ავტორეფერატი

თელავი

2024

ნაშრომი მომზადდა სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის განათლების მეცნიერებათა დეპარტამენტში

სამეცნიეროხელმძღვანელები:
ნათელა მაღლაკელიძე - პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
შორენა ძამუკაშვილი-განათლების აკადემიური დოქტორი,იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

რეცენზენტები:
იაგორ ბალანჩივაძე-განათლების აკადემიური დოქტორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.
ლელა თავდგირიძე -განათლების აკადემიური დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

დაცვა შედგება 2024 წლის „ ____ “ _____, ____ საათზე, სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე:

კორპუსი _____ აუდიტორია _____

მისამართი: საქართველო, თელავი, 2200, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N 1, ტელ: +995 350 27 11 76

დისერტაციის გაცნობა შეიძლება სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და ვებ გვერდზე: http://tesau.edu.ge
სადისერტაციო საბჭოს მდივანი:
_____ **ნინო ბასილაშვილი**, ასოცირებული პროფესორი

ნაშრომის ზოგადი დახასიათება

საკვლევი თემის მნიშვნელობა და აქტუალობა ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებში (რომელსაც ეყრდნობა ეროვნული საასწავლო გეგმა), მკაფიოდაა გაწერილი, რომ ფუნქციური უნარით აღჭურვა, ისევე როგორც სხვა დანარჩენი უნარებით, მიღწევადი უნდა იყოს ყველა მოსწავლისათვის. აღნიშნულ მიზნებში, თავის მხრივ, გათვალისწინებულია სალამანკის დეკლარაციის უმნიშვნელოვანესი პრინციპი განათლებაზე მოსწავლეთა თანაბარი ხელმისაწვდომობის შესახებ. ყოველივე ამის გათვალისწინებით, საქართველოში განათლების რეფორმების კვალდაკვალ, ინკლუზიური განათლება აქტიურად ინერგება და ისეთ ფუნდამენტურ პრინციპებს ეყრდნობა, როგორებიცაა: ,,განათლების ხელმისაწვდომობა, ბავშვთა უფლებების დაცვა და მათი სოციალური ადაპტაციის უზრუნველყოფა, ასევე, განსხვავებულობის აღიარება და პატივისცემა" (MWRATR-ის ტესტის სახელმძღვანელო, გვ 3). ხშირ შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებს სჭირდებათ დამატებით მხარდაჭერა იმ უნარ-ჩვევების დაუფლების პროცესში, რომლებიც საჭიროა სოციუმში დამოუკიდებლად ფუნქციონირებისთვის. ამ უნარებს შესაძლებელია წარმოადგენდეს - თვითმოვლა, გადაადგილება, პროდუქტების შეძენა, ყოველდღიური საქმიანობები, ფუნქციური, აკადემიურიუნარები (კითხვა, წერა, მათემატიკური უნარები). აღნიშნული

უნარების დაუფლება შესაძლებელია რელევანტური შინაარსისა და მიზნების მქონე პროგრამების შედგენითა და შეთავაზებით” (ტყეშელაშვილი, 2021, გვ 6). ჩვენი კვლევი სფოკუსი დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეების წერითი უნარების განვითარების პროცესისაკენ მიემართება და ვიწროვდება. აღნიშნული ტიპის დარღვევის შესახებ შედარებით ღრმა და მრავლისმომცველ კვლევებს გვთავაზობენ ბრანდარი, გოიალი, კირკი, კუსმაული, ბიდლი, ბოუერსი, ტალკოტი, რიდი, გაგოშიძე, ტყეშელაშვილი, ისაკაძე, ქურციკიძე, ჭინჭარაული, დასხვები. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ პიროვნებისათვის დასწავლის უნარის დარღვევა მთელი სიცოცხლის განმავლობაში გრძელდება, ცხადი ხდება, რამდენად მნიშვნელოვანია გონივრულად დაგეგმილი სწავლების მეთოდოლოგიით ხელი შევუწყოთ მისი აკადემიური უნარების განვითარებას და ამავე დროს, დავეხმაროთ მას საზოგადოებაში სრულფასოვნად დამკვიდრებაში.

ჩვენ მიერდამუშავებული მასალებიდან იკვეთება, რომ ამ პრობლემის სისტემური კვლევა საქართველოში ჯერ არ ჩატარებულა და სიახლეა ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის.

ამდენად, დასწავლის უნარის განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეებში წერითი უნარების განვითარების კვლევისას, ჩვენი მთავარი ორიენტირია **დასწავლის უნარის დარღვევის მქონემოსწავლეთათვის შეთავაზებული პედაგოგიკური სტრატეგიების მეთოდოლოგიურად გამართვა მათი წერითი უნარების**

განვითარებისათვის ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე (მე-5-მე-6კლასები).

სადისერტაციო ნაშრომის მიზანია: დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთათვის წერითი უნარების განვითარების პროცესის კვლევა ზოგადი განათლების მე-5-მე-6კლასების მაგალითზე. **მთავარი კვლევითი კითხვა:** რა სახის სტრატეგიისა თუ მეთოდოლოგიის შერჩევაა შესაძლებელი, რომლებიც პოზიტიურ გავლენას მოახდენს დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა წერითი უნარების განვითარებაზე? ყოველივე აქედანგ ამომდინარე, განისაზღვრა ჩვენი კვლევის ამოცანები:

1.საკითხთან დაკავშირებული მეორადი ინფორმაციის მოძიება:

- მოსწავლეებში წერითი უნარების განვითარების ირგვლივ არსებული ქართველი მკვლევრების პუბლიკაციებისა და სახელმძღვანელოების(მათ შორის რეფორმამდელი და რეფორმის შემდგომი) ზოგადი მიმოხილვა-ანალიზი;
- დასწავლის უნარის განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეებში წერითი უნარების განვითარების ირგვლივ არსებული პუბლიკაციებისა და სახელმძღვანელოების (მათ შორის ქართველი და უცხოელი ავტორების) მიმოხილვა-ანალიზი.

2. კვლევის მეთოდოლოგიისა და ინსტრუმენტის შემუშავება:

- კვლევის დიზაინის შექმნა და მის ჩასატარებლად სამიზნე სკოლებისა და მოწყვლადი

ჯგუფის(პედაგოგებისა და მოსწავლეების) განსაზღვრა/ თანამშრომლობა;

- თვითრეგულაციის სტრატეგიის უცხოური გამოცდილების გაზიარება-მოდიფიცირება ქართულ სინამდვილეზე და პილოტირებისათვის მომზადება.

3. **ემპირიული კვლევა,**მიღებულიშედეგების დამუშავება-ანალიზი, კვლევის ჰიპოთეზისა და კვლევის შედეგების შესაბამისობის დადგენა,

4. **დასკვნებისა და რეკომენდაციების შემუშავება.**

კვლევის ობიექტი: თელავის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების წერითი უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებში წერის უნარის განვითარების პროცესი

კვლევის საგანი: დასწავლის უნარს დარღვევის მქონე მოსწავლეთა წერითი უნარების განვითარება

კვლევის ჰიპოთეზა: დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებთან გაკვეთილებზე თვითრეგულირების მეთოდოლოგიური ჩარჩოს გამოყენება პოზიტიურ გავლენას მოახდენს მოსწავლეთა წერითი უნარების განვითარებაზე.

კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდები: საკვლევი თემის ფარგლებში, შესასწავლ საკითხთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებისთვის, კვლევის შედეგების სისტემურ კონტექსტში დისკურსისთვის, განვსაზღვრეთ კვლევის მეთოდოლოგია;

პრობლემის სიღრმისეულად შესწავლისთვის ლიტერატურის მიმოხილვის კვალდაკვალ მოვიშველიეთ **თვისებრივი კვლევები,** რისთვისაც გამოვიყენეთ **კვლევის ინსტრუმენტები:**

სამაგიდე კვლევა:

ა) საქართველოს საჯარო სკოლებში ზოგადად მოსწავლეთა წერითი უნარების შესახებ გამოქვეყნებული პუბლიკაციებისა და სახელმძღვანელოების მიმოხილვა-ანალიზი;

ბ) დასწავლის უნარის განვითარების დარღვევის მქონე მოსწავლეების წერითი უნარების განვითარების ირგვლივ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მიმოხილვა-ანალიზი;

გ) საქართველოში აპრობირებული MWRATR ტესტი და მისი გამოყენების პერსპექტივები საქართველოში მოსწავლეთა აკადემიური უნარების შესაფასებლად;

დ) მოსწავლეთა დამოუკიდებლობის წახალისებისათვის შექმნილი თვითრეგულირების მეთოდოლოგიური ჩარჩოს უცხოური გამოცდილების ანალიზი;

ე) მოსწავლეთა დამოუკიდებლობის წახალისებისათვის შექმნილი თვითრეგულირების მეთოდოლოგიური ჩარჩოს მოდიფიცირება ემპირიული კვლევის ჩასატარებლად.

კვლევის რესპოდენტები: მე-5-მე-6 კლასების მოსწავლეები, სკოლის პედაგოგები და სპეც. პედაგოგები.

შერჩევის პრინციპი: მოვახდინეთ თელავის რაიონის საჯარო სკოლების მიზნობრივი შერჩევა, კერძოდ,

კვლევის ჩასატარებლად მოვიძიეთ ყველა ის სკოლა, სადაც მე-5-მე-6 კლასებში სწავლობენ დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეები და შესაბამისად, მათი მეურვეების ინფორმირებული თანხმობის საფუძველზე, კვლევები მათთან წარვმართეთ. გარდა ამისა, კვლევის ვალიდური შედეგების მისაღებად და კვლევის სხვადასხვა ჭრილში განსახილველად, შევარჩიეთ ამ ბავშვების ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგები და სპეც. პედაგოგები, რომლებიც მუშაობენ ამ სკოლებში.

ემპირიული კვლევა: ინტერვენცია დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა წერითი უნარების განვითარებისათვის.

კვლევის მეცნიერეული სიახლე:

საქართველოს საჯარო სკოლებში მოსწავლეებთან თვითრეგულაციის მეთოდოლოგიური ჩარჩოს გამოყენება არ მომხდარა. კვლევა თითქმის მთლიანად წარმოადგენს უცხოური მკვლევრებისა და პედაგოგების მოწინავე პრაქტიკის გაზიარებისა და ქართულ სინამდვილეზე მორგების მცდელობას.

კვლევის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება:

სადისერტაციო ნაშრომის ფარგლებში ჩატარებული კვლევები თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებას შესძენს თავად ამ სფეროს; ჩვენ მიერ თვითრეგულირების მოდიფიცირებული მეთოდოლოგიური ჩარჩო და მისი გამოყენებისას მიღებულიშედეგები შეიძლება გამოიყენონ ამთემაზე მომუშავემკვლევრებმა, პედაგოგებმა და მეცნიერებმა.

▶ **სადისერტაციო ნაშრომის სტრუქტურა და მოცულობა**: ნაშრომის სტრუქტურას ქმნის: ანოტაცია (ქართულ და ინგლისურ ენაზე), სარჩევი, შესავალი, 2თავი - შესაბამისი პარაგრაფებით, კვლევითი ნაწილი, გამოყენებული სამეცნიერო ლიტერატურისა და ინტერნეტ რესურსებისჩამონათვალი, დანართები. ნაშრომს დანართების სახით ერთვის კვლევის დროს გამოყენებული ინსტრუმენტები (კითხვარები) და მოპოვებული მონაცემები,სადაც სრულადაა რესპოდენტთა ანონიმურობა დაცული. **შესავალში** მიმოხილულია საკითხის აქტუალობა, მოცემულია კვლევის მიზნები, წარმოდგენილია საკვლევი კითხვები და ჰიპოთეზა; მოცემულია კვლევის ჩარჩო და ამოცანების თანმიმდევრობა. **პირველ თავში: მოსწავლეთა წერითი უნარების განვითარების თეორიული საფუძვლები დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებში,** ოთხი პარაგრაფია. **პირველ პარაგრაფში:** ზოგადადაა მიმოხილული მოსწავლეთა წერითი უნარების ჩამოყალიბების მიმართ დამოკიდებულება განათლების სფეროს რეფორმამდელ და მის შემდგომ მეცნიერთა ნაშრომებსა და რეფორმებისშემდგომ გამოცემულ სახელმძღვანელოებში. პარაგრაფში ცალსახადაა ნათქვამი, რომ საბჭოთა განათლების დროინდელ კვლევართა მიერ მხარდაჭერილი მეთოდოლოგია უმეტესად მოსწავლეთა დეკლარატიული ცოდნის შეძენაზე იყო ორიენტირებული, თუმცა

საგანმანათლებლო სივრცეში ყოველთვის მოიძებნებოდნენ ჯანსაღად მოაზროვნენი, რომლებიც მოსწავლეთა წერითი უნარების დაუფლებაზე მსჯელობისას, მოსწავლეთა აკადემიური და ფუნქციურ უნარებით აღჭურვას ერთიან პროცესებად წარმოიდგენდნენ. პარაგრაფი ერთგვარ შესავალს წარმოადგენს მოსწავლეთა დასწავლის უნარის დარღვევის მქონე წერითი უნარების განვითარების განსახილველად, რომელზეც საუბარი, ლოგიკურად **მეორე პარაგრაფში:** ***დასწავლის უნარის დარღვევა და წერითი უნარ-ჩვევების განვითარების სიძნელეები მე-5-მე-6 კლასის მოსწავლეებში*** გრძელდება. აქ განხილულია კირკის, ბრანდალის, გოიალის, რიდის, ლაინიმენის, ტოგრესენისა და სხვათა ნაშრომები მოსწავლეთა ამ ტიპის დარღვევის ზუსტი განსაზღვრის ჩამოსაყალიბებლად და მათი მოსაზრებები გამყარებულია DSM-5 და ICD-10 საერთაშორისო საკლასიფიკაციო სისტემების განმარტებებით. პარაგრაფში ასევე საუბარია:

- დისგრაფიის ძირითადი მახასიათებლების შესახებ;
- დასწავლის სირთულის მქონე მოსწავლეების ფონოლოგიური და ფონემატური უნარ-ჩვევების შესახებ;
- დასწავლის უნარის დარღვევების ინტერვენციული მოდელების შესახებ.

დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლის ინტელექტი, უმეტეს შემთხვევაში, ნორმის ფარგლებში მერყეობს, ამიტომ, შესაძლებელია, რომ გონივრულად დაგეგმილი და წარმართული ინტერვენციებით დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებს ხარისხიანი განათლების მიღებასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობაში დავეხმაროთ. **მესამე პარაგრაფში,*დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა აკადემიური უნარების შეფასებისკენ მიმართული ინსტრუმენტები,*** *MWRATR* ***ტესტი,*** საუბარია საქართველოში აპრობირებული ტესტის გამოყენების მეთოდოლოგიის შესახებ, რომელიც მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების პროგრესის შესაფასებლად გამოიყენება. **მეოთხე პარაგრაფს,** ***კურიკულუმის ადაპტაცია და ზოგადი ინტერვენციები დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთათვის,*** ცენტრალურ ხაზად გასდევს ის ფაქტი, რომ კურიკულუმის ადაპტაცია-მოდიფიცირების მხარდაჭერა დარეგულირებულია საკანონმდებლო დონეზე: ,,სსსმ მოსწავლეებს დღეს აქვთ შესაძლებლობა, ისწავლონ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, მიიღონ ფუნქციური ცოდნა მოქნილი, აკადემიურ და ტრანსფერულ უნარებზე ორიენტირებული კურიკულუმები, ამასთანავე, იყვნენ სასწავლო პროცესის სრულფასოვანი მონაწილეები და შეძლონ საკუთარი პოტენციალის სრულად გამოვლენა” (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2010).

მეორე თავში: ***თვითრეგულაცია - მოსწავლეთა უმნიშვნელოვანესი ფუნქციური უნარი,*** **მოცემულია სამი პარაგრაფი.** პირველ პარაგრაფში: ***თვითრეგულირებადი სწავლის ხელშეწყობა და მოსწავლეთა დამოუკიდებლობის წახალისება,*** მიმოხილულია თეორიები, რომლებიც მხარდამჭერია მოსწავლეთა თვითრეგულირებული ქცევების და მოცემულია მეცნიერთა მოსაზრებები მოსწავლეთა თვითრეგულირების შესახებ სწავლებაში. მოკლედ აღწერილია მოსწავლეთა თვითრეგულირების უნარების განსავითარებელი სტრატეგიები.**მეორე და მესამე პარაგრაფებში:** ***დასწავლის უნარის დაღვევის მქონე მოსწავლეებთან თვითრეგულირებადი სტრატეგიის გამოყენების უცხოური გამოცდილება და დასწავლის უნარის დაღვევის მქონე მოსწავლეთათვის თვითრეგულაციის მეთოდოლოგიური ჩარჩოს მოდიფიცირება,*** მოცემულია თვითრეგულირების სტრატეგიების უცხოური მოდელები და მათიმოდიფიცირებით შექმნილია მეთოდოლოგიური ჩარჩო, რომელიც მოვამზადეთ დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებისათვის ემპირიული კვლევის ჩასატარებლად. **დისერტაციის მესამე ნაწილში მოცემულია კვლევითი აქტივობა:** ინტერვენცია დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა წერითი უნარების გასავითარებლად, სადაც შესავალშივე განსაზღვრულია კვლევის მეთოდოლოგის და დიზაინი, კვლევის ინსტრუმენტები, სამიზნე

ჯგუფები. კვლევის მრავალმხრივი მონაცემებისა და ვალიდური ანალიზის ჩასატარებლად,გამოვიყენეთ კვლევის ტრიანგულაციის პრინციპი. კერძოდ, პროცესზე დამატებით გავლენის მომხდენი ფაქტორების გამოსარიცხად, მოსწავლეების MWRATR-ისტესტითშეფასებების (პრე და პოსტ კვლევა) პარალელურად, მოვახდინეთ საგნისა და სპეც. პედაგოგთა ანკეტური გამოკითხვა, მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შესწავლა, დაკვირვება ქართული ენისა და ლიტერატურის გაკვეთილებზე მასწავლებლისა და დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეთა რეალური მუშაობის იდენტიფიცირებისათვის. კვლევით ნაწილში მოცემულია კვლევის შედეგად მოპოვებული მონაცემები და მისი ანალიზი. საგნისა და სპეც.პედაგოგთა მხირდან გამოიკვეთა მეტად საინ ტერესო მოსაზრებები და ტენდენციები, რომლებიც გადმოცემულია დისერტაციის დასკვნებსა და რეკომენდაციებში.

ინტერვენციის შედეგები: როგორცMWRATR-ით პრე დაპოსტ კვლევების შედეგების შედარებითი ანალიზისასჩანს, 6 მოსწავლის შემთხვევაში, ჩვენ მიერ დაგეგმილი და განხორციელებული ინტერვენციების შედეგად, მოსწავლეთა წერითი უნარების განვითარების მცირე პროგრესი გამოიკვეთა. კერძოდ, მოსწავლეთა აკადემიური (წერითი) უნარების შეფასებისას მათ მიერ მიღებული ნედლი

ქულები(სწორი პასუხების რაოდენობა) ყველა შემთხვევაში გაიზარდა. მართალია, მათი განვითარების ნორმიდან გადახრა იგივე და იმავე ინტერვალში ფიქსირდება, მაგრამ ეს მოსალოდნელიც იყო და ორ სემესტრში, მათი დარღვევის სპეციფიკიდან გამომდინარე, წერითი უნარების მკვეთრ განვითარებას არც მოველოდით. თუმცა, ნედლი ქულების მატება ყველა მოსწავლის შემთხვევაში და მოსმენილის წერილობით გადმოცემაში უკვე მიღწეულ შედეგად უნდა ჩაითვალოს(დიაგრამა1).



დიაგრამა 1.

მე-5-მე-6 კლასებში ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლების პროცესში დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებთან თვითრეგულირებადი მეთოდოლოგიური ჩარჩოს გამოყენების ანალიზმა, რომელიც მოვახდინეთ მოსწავლეთა წერითი უნარების

შეფასების MWRATR-ის პრე და პოსტკვლევების საფუძველზე, დაადასტურა ნაშრომის შესავალში გამოთქმული ჰიპოთეზა.

ჩვენს მიერ ჩატარებული თვისებრივი კვლევის საბოლოო შედეგები წარმოადგენს დასწავლის უნარის დარღვევის მქონე ექვსი მოსწავლის შემთხვევის შესახებ მონაცემების შეგროვება-ანალიზს. შესაბამისად, მონაცემთა ანალიზი არ ექვემდებარება გაზიარებას.

ჩვენი უმთავრესი მიზანი იყო, კვლევის შედეგად გამოგვევლინა მოსწავლეებთან თვითრეგულირების მეთოდოლოგიური ჩარჩოს გამოყენების შედეგად, მათი წერითი უნარების განვითარების გარკვეული ტენდენციები (როგორც ეს ხშირად თვისებრივი კვლევისას ხდება) და დაგვესაბუთებინა ამ ინტერვენციის გამოყენების პოზიტიური შედეგები.

დასკვნები:

წარმატების მისაღწევად, დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეები საჭიროებენ ადრეულ იდენტიფიკაციას, დროულად სპეციალიზებულ შეფასებებსა და ჩარევებს, რომლებიც მოიცავს სახლს, სკოლას, საზოგადოებას და სამუშაო ადგილს.

ჩვენ მიერ შემუშავდა და პილოტირება მოხდა წერისუნარისდარღვევისმქონემოსწავლეებისთვისსასა რგებლოდაკვლევაზედაფუძნებული შემდეგი ინტერვენციის: ,,გაკვეთილზე თვითრეგულირებადი სტრატეგიის(SRSD), მეთოდოლოგიური ჩარჩოს დანერგვა დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებთან, რომელიც გახლავთ გახლავთ

სწავლების ექვსეტაპიანი სტრატეგიულიმოდელი და მისი გამოყენება დასწავლის დარღვევის მქონე მოსწავლეებთან დადებითად აისახება მოსწავლეთა წერითი უნარების განვითარებაზე.

რეკომენდაციები:

- მნიშვნელოვანია საგნის პედაგოგებმა ხელი შეუწყონ სხვადასხვა აქტივობის დროს თვითრეგულაციის სტრატეგიების გამოყენებას სსსმ მოსწავლეებთან, რაც შეუწყობს ხელს როგორც აკადემიური უნარების პროგრესს, ასევე შეძლებს საკუთარი ქცევისა და ემოციების კონტროლს.
- საყურადღებოა თვითრეგულირების მეთოდური ჩარჩოს გამოყენებისას დაცული იქნას თანამიმდევრულობა ეტაპების განხორციელებისას.
- თვითრეგულაციის მეთოდური ჩარჩო შესაძლებელია გამოყენებული იქნას ნებისმიერ საგანში დავალებების შესრულებისას.
- დაკვირვება აჩვენებს რომ საგნის მასწავლებელს უჭირს საფუძვლიანი მუშაობა მთელ კლასთან, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში სადაც კლასში ერთზე მეტი სსსმ მოსწავლეა. საყურადღებოა და მნიშვნელოვანი, რომ მასწავლებელს ჰყავდეს კლასში დამხმარე(ასისტენტი), რათა მასწავლებელმა ეფექტურად მახერხოსდასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებთან ისგ-თი განსაზღვრულ მიზნებზე მუშაობა.

კვლევის ძირითადი შედეგები გამოქვეყნდა ჟურნალებში:

1) Maka Sidamonidze , Shorena DzamukaSvili ., STUDY OF WRITING SKILLS IN STUDENTS WITH LEARNING DISABILITIES“, International Scientific Journal Theoretical & Applied Science., p-ISSN: 2308-4944 (print) e-ISSN: 2409-0085 (online), DOI: 10.15863/TAS

2) Maka Sidamonidze, ,,PRACTICAL RESULTS OF A QUALITATIVE STUDY OF THE WRITING SKILLS OF STDUENTS WITH LEARNING DISABILITIES ON THE EXAMPLE OF PUBLIC SCHOOLS IN THE TELAVI MUNICIPALIT“, International Scientific Journal Theoretical & Applied Science., p-ISSN: 2308-4944 (print) e-ISSN: 2409-0085 (online), DOI: 10.15863/TAS.

მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში, რომლებშიც დაიბეჭდა ნაშრომთა კრებულებში:

1. XII საერთაშორისო სამეცნიერო-მეთოდური კონფერენცია, ,,სწავლა-სწავლებისა და აღზრდის აქტუალური პრობლემები''

,, **დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებთან სპეციალურ პედაგოგთა პროფესიული საქმიანობის კვლევა (თელავის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მაგალითზე)''**;7-8 ივნისი, 2024, ქუთაისი; აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

2) II საერთაშორისო კონფერენცია: „განათლება, კვლევა, პრაქტიკა,“**,, ეროვნული სასწავლო გეგმა და ქართული ენის მოქმედი სახელმძღვანელოები(მე-5 - მე-6 კლასები)**; თელავი 28-29.09.2018

3) IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,განათლება, კვლევა, პრაქტიკა'', **,,დაწყებითი სკოლის ზედა საფეხურის (მე-5, მე-6 კლასები) დასწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეების წერითი უნარების კვლევა''**; თელავი 07.10.2022

LEPL Iakob Gogebashvili Telavi State University

With the right of manuscript

Maka Sidamonidze

The Research of the Development of Writing Skills of Students with Learning Disabilities in the 5th-6th Grades of the Primary Level of General Education (On the Example of Telavi Municipality Schools)

Specialty: Education Sciences

A b s t r a c t

of the dissertation submitted to gain
the Academic Degree of Doctor of Education Sciences

Telavi 2024

The work was prepared at the Department of Education Sciences, at the Faculty of Education Sciences in Iakob Gogebashvili Telavi State University

Scientific Supervisors:
Natela Maghlakelidze - Doctor of Pedagogical Sciences, Professor
Shorena Dzamukashvili - Academic Doctor of Education, Associate Professor at Iakob Gogebashvili Telavi State University
Reviewers:
Iagor Balanchivadze - Academic Doctor of Education, Associate Professor at Akaki Tsereteli State University
Lela Tavdgiridze- Academic Doctor of Education, Professor at Batumi Shota Rustaveli State University

The defence of the dissertation will take place on 2024, _____" _____at _____o'clock at the session of Dissertation Board of the Faculty of Education Sciences in Iakob Gogebashvili Telavi State University:

Campus _____ room _____

Address: 1,Kartuli Universiteti Street, Georgia, Telavi, 2200

Tel: +995 350 27 11 76, +995 350 27 32 67

The dissertation is available at the library of LEPL Iakob Gogebashvili Telavi State University and on web-site: http://tesau.edu.ge

Secretary of the Dissertation Board:_____
Nino Basilashvili, Associate Professor

General Overview of the Work

Importance and relevance of the research topic

In the national goals for general education (on which the national curriculum is based), it is clearly stated that equipping with functional skills, like with any other skills, should be attainable for all students. In the mentioned goals , in their turn, the most important principle of the Salamanca Declaration is considered which is about on equal access of education of students. Considering all this, in the footprints of education reforms in Georgia, inclusive education is actively introduced and is based on such fundamental principles as: ,,Education accessibility, protecting children's rights and ensuring their social adaptation, as well as recognition and respecting differences" (MWRATR –test handbook, p3). In most of the cases, students with specific educational needs require additional support to acquire the skills which are necessary to function independently in society. These skills can be self-care, movement, purchasing products, daily activities, functional, academic skills (reading, writing, math skills). These skills can be mastered by designing and offering programs with relevant content and goals. (Tkeshelashvili, 2021, pg 6). The focus of our research is directed and narrowed to the process of development of writing skills in students having learning disabilities. Brandari, Goyal, Kirk, Kusmauli, Biddle, Bowers, Talcott, Reed, Gagoshidze, Tkeshelashvili, Isakadze, Kurtsikidze, Chincharauli, and others offer relatively deep

and comprehensive studies on this type of violation. If we take into consideration the fact that a person's learning disability continues throughout his whole life, it becomes clear how important it is to promote the development of his academic skills with a reasonably planned teaching methodology, and at the same time, to help him too fully settle in society.

From the materials we have processed, it becomes clear that a systematic study of this problem has not yet been conducted in Georgia and it is a novelty for the Georgian educational space.

Thus, in researching the development of writing skills in students with learning disabilities, our main focus is to methodologically support the pedagogical strategies offered to students with learning disabilities for the development of their writing skills at the primary level of general education (V-VI grades).

The aim of the dissertation thesis is: Research of the Development of Writing Skills of Students with Learning Disabilities at the Primary Level of General Education (5-6 grades).

General Research Question: What kinds of strategies or methodologies can be selected that will have a positive impact on the development of writing skills of students with learning disabilities? Therefore, the tasks of our research were determined

1. Searching secondary information in connection with the issue:

- General review-analysis of Georgian publications and handbooks (among them materials before reforms and after reforms) existing around the development of writing skills in pupils
- review-analysis of publications and handbooks about the development of writing skills in pupils having learning disabilities (by Georgian and foreign authors)

2. Collaborating research methodology and instruments

- creating research design and defining/co-operation target schools and vulnerable groups (teachers and students)
- Sharing the foreign experience of the self-regulation strategy - modifying it on the Georgian reality and preparring for piloting

3. Empirical research, processing and analysis of the obtained results, determining the relevance of the research hypothesis and research results

4. Developing conclusions and recommendations

Research Object: the process of development of writing skills of students having learning disabilities in Telavi region public schools

Research Subject: developing writing skills in students having learning disabilities

Research Hypothesis: The usage of a methodological framework of self-regulation in lessons with students with learning disabilities will have a positive impact on the development of students' writing skills.

Reseacrh methodology and methods: Within the framework of the research topic, to identify the problems related to the

subject to be studied, to discuss the results of the research in a systematic context, we defined the research methodology

In order to study the problem in depth, following the literature review, we conducted qualitative researches, for which we used research instruments:

Desk Research:

a) Review-analysis of published publications and textbooks about students' writing skills in public schools of Georgia;

b) review-analysis of the scientific literature about the development of writing skills of students with learning disabilities

c) MWRATR test approved in Georgia and the persepctives of its usage in Georgia for evaluating students' academic skills

d) Analysis of the foreign experience of the methodological framework of self-regulation created to encourage the independence of students

e) Modifying the Self-Regulation Methodological Framework for Encouraging Student Independence to Conduct Empirical Research

Research respondents: students of V-VI grades, School teachers and special education teachers

Principle of selection: we made a targeted selection of public schools of Telavi district, in particular, we searched for research in all schools where students with learning disabilities study in grades V-VI, and accordingly, based on the informed consent of their guardians, we conducted research with them . In addition, in order to obtain the valid results of the research and to discuss them in different

aspects of the research, we selected the teachers of the Georgian language and literature and special education teachers who work in these schools.

Empirical Research: Intervention for developing writing skills in students having learning disabilities.

Scientific novelty of the research:

Methodological framework of self-regulation was not used with students in public schools of Georgia. The research is almost entirely an attempt to share advanced practices of foreign researchers and teachers and adapt them to the Georgian reality.

Theoretical and practical value of the research : The research conducted within the framework of the thesis will add theoretical and practical value to this field itself; Our modified methodological framework of self-regulation and the results obtained from its application can be used by researchers, educators and scientists working on this topic

Structure and volume of dissertation thesis: The structure of the thesis is the following: abstract (in Georgian and English languages), contents, introduction, 2 chapters with corresponding paragraphs, research, applied scientific literature, internet resources, appendix. The instruments (questionnaires) used during the research and the obtained data are attached to the paper as appendices, where the anonymity of the respondents is fully protected. In the introduction, the relevance of the issue is reviewed, research objectives are given, research questions and hypothesis are presented; The research framework and the sequence of tasks are given. In the first chapter Theoretical foundations

of the development of students' writing skills in students with learning disabilities there are four paragraphs. In the first paragraph

In general, the attitude towards the formation of students' writing skills is reviewed in the works of scientists before and after the reform in the field of education and in the textbooks published after the reforms. The paragraph clearly states that the methodology supported by the researchers of Soviet education was mostly focused on students' acquisition of declarative knowledge, although there were always healthy thinkers in the educational space who, when discussing the mastery of students' writing skills, imagined equipping students with academic and functional skills as a united process. Paragraph represents an introduction for discussing the development of writing skills in students with learning disabilities, the conversation on which logically continues in the second paragraph: The disorder of learning disability and the difficulties of developing writing skills in the students of 5th-6th grades. Here, the work of Kirk, Brandal, Goyal, Reed, Lineman, Togresen, and others is reviewed to establish a precise definition of this type of disorder and their opinions are strengthened with DSM-5 and ICD-10 international classification system definition. The paragraph also deals with the following:

- About the general characteristic of dysgraphia
- About phonological and phonemic skills of students with learning difficulties৷
- About the models of intervention of learning disability

The intelligence of a student with a learning disability, in most cases, varies within the norm, therefore, it is possible to help students with a learning disability to receive a quality education and engage in public life with wisely planned and guided interventions. The third paragraph- instruments directed to evaluation of academic achievement of students with learning disabilities - MWRATR test-refers to the usage methodology of approved test in Georgia . Fourth paragraph-Curriculum adaptation and general interventions for students with learning disabilities - carries the concept that supporting curriculum adaptation-modification is regulated at the legislative level "Students with disabilities today have the opportunity to study in general education schools, get functional knowledge, flexible, academic and transferable skills-oriented curricula, at the same time, be full participants in the educational process and be able to fully reveal their potential" (Legislative Bulletin of Georgia, 2010).

The second chapter: self-regulation-major functional skill of students-contains three paragraphs. In the first paragraph: supporting self-regulatory learning and encouraging students' independence, theories are discussed which support students' self-regulatory behaviors and scientists' opinions about students' self-regulation in learning are given. Strategies for developing students' self-regulation skills are briefly described. In the second and third paragraphs: Foreign experience of using self-regulated strategies with students with learning disabilities and modifying the methodological framework of self-regulation

for students with learning disabilities, Foreign models of self-regulation strategies are given and a methodological framework is created by modifying them, which we have prepared for conducting empirical research for students with learning disabilities. The third part of the thesis presents the research activity: Intervention for developing writing skills in students having learning disabilities, where, in the introduction research methodology and design is defined. In order to conduct a multifaceted research data and valid analysis, we used the principle of research triangulation. In particular, to exclude additional influencing factors on the process, simultaneously with evaluating students with MWRATR test (pre and post research) we conducted questionnaire survey with subject teachers and special education teachers, investigated students' individual study plants , observed on the lesson of Georgian language and literature for identification real work of students with learning disabilities. In the part of the research, results and analysis are given. From subject teachers and special education teachers very interesting opinions and tendencies have been revealed, which are given in the conclusions and recommendations of the dissertation.

Intervention results: As it is seen in the comparative result of MWRATR pre and post researches, in case of 6 students, after interventions planned and implemented by us, little progress of developing students' writing skills have been achieved. In particular, during the assessment of students' academic (writing) skills, their raw scores (the number of correct answers) increased in all cases. It is true that the

deviation from the norm of their development is fixed in the same interval, but it was expected and in two semesters, given the specificity of their disorder, we did not expect important development of writing skills. However, the increase in raw marks in the case of all students and in the written transfer of what has been heard should be considered as the result already achieved. (diagram 1).



diagram 1.

The analysis of the use of a self-regulated methodological framework in the process of teaching Georgian language and literature in the 5th-6th grades with students with learning disabilities, which we conducted on the basis of pre- and post-MWRATR tests of the assessment of students' writing skills, confirmed the hypothesis expressed in the introduction of the paper.

The final results of the qualitative research conducted by us represent the data collection and analysis of the cases of six students with learning disabilities. Therefore, data analysis is not subject to sharing.

Our main goal was to identify, as a result of the research, some tendencies in the development of their writing skills as a result of using a methodological framework of self-regulation with students (as is often the case in qualitative research) and to prove the positive results of using this intervention.

Conclusions:

To succeed, students with learning disabilities require early identification, timely specialized assessments, and interventions that comprise the home, school, community, and workplace.

We created and piloted useful and research based interventions for students with learning disabilities: "implementing self-regulatory strategy (SRSD) methodological framework with students with learning disabilities which represents 6 stage model and its usage with students having learning disabilities has positive outcome for developing writing skills

Recommendations:

It is important for subject teachers to promote the use of self-regulation strategies with students with disabilities during various activities, which will contribute to the

progress of academic skills, as well as being able to control their own behavior and emotions.

- It is important to follow the sequence of stages when using the self-regulation methodical framework.
- The methodological framework of self-regulation can be used in the performance of tasks in any subject.
- Observation shows that it is difficult for the subject teacher to thoroughly work with the whole class, especially in the case where there is more than one SEN student in the class. It is noteworthy and important that the teacher has an assistant in the classroom, so that the teacher can effectively work with students with learning disabilities on the goals defined by the National Curriculum.

General outcomes of the research were published in the following journals:

1) Maka Sidamonidze , Shorena DzamukaSvili ., STUDY OF WRITING SKILLS IN STUDENTS WITH LEARNING DISABILITIES“, International Scientific Journal Theoretical & Applied Science., p-ISSN: 2308-4944 (print) e-ISSN: 2409-0085 (online), DOI: 10.15863/TAS

2) Maka Sidamonidze, ,,PRACTICAL RESULTS OF A QUALITATIVE STUDY OF THE WRITING SKILLS OF STDUENTS WITH LEARNING DISABILITIES ON THE EXAMPLE OF PUBLIC SCHOOLS IN THE TELAVI MUNICIPALIT“, International Scientific Journal Theoretical & Applied Science., p-ISSN: 2308-4944 (print) e-ISSN: 2409-0085 (online), DOI: 10.15863/TAS.

Participation in International Conferences which were published in the collection of papers:

1. XII International scientific-methodological conference "Actual Problems of Learning-teaching and Up-bringing"; Research of professional work of Special education teachers with the students having learning disabilities (on the example of Telavi Municipality Public Schools); June 7-8, 2024, Kutaisi, Akaki Tsereteli State University

2) II International Conference: „Education, Research Practice" ,, National Curriculum and current handbooks of Georgian Language" (5th - 6th grades); Telavi 28-29.09.2018

3) IV International Conference: „Education, Research Practice" "The research of writing skills of students with learning disabilities in the upper level of primary school (5th - 6th grades) ", Telavi 07.10.2022